ოქმი №5

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

ბიუროს სხდომისა

აბაშა, 2025 წლის 24 ნოემბერი

ოქმი №5

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი ბიუროს სხდომისა

აბაშა, 2025 წლის 24 ნოემბერი

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა ი. კიზირია

სხდომას ესწრებოდნენ:

ბიუროს წევრები: პ. ხოშტარია, ზ. მაკალათია, მ. კვიტაშვილი, შ. ჯღარკავა, ზ. ნოდია, ზ. გუგუშვილი, დ. ცანავა, გ. ქოიავა, რ. კაჭარავა, ვ. ავალიანი და დ. ვერულაშვილი.

საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი- საკრებულოს აპარატის უფროსი - ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - გ. ხურცილავა და საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნ. კუპრეიშვილი.

დღის წესრიგი:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის შენიშვნებით აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის დაბრუნების თაობაზე.

მომხს. შ. ჯღარკავა

2. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ.

მომხს. ი. კიზირია

1

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის შენიშვნებით აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის დაბრუნების თაობაზე.

მომხს. შ. ჯღარკავა

მომხსენებელმა შ. ჯღარკავამ ბიუროს წევრებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის ირგვლივ არსებული შენიშვნები.

კომისიის თავმჯდომარეებმა შ. ჯღარკავამ, დ. ცანავამ, ზ. გუგუშვილმა, ზ. ნოდიამ, გ. ქოიავამ, ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარე რ. კაჭარავამ, ფრაქციის „ევროპელი სოციალისტები" თავმჯდომარე დ. ვერულაშვილმა და ფრაქციის „ხალხის ძალა" თავმჯდომარე ვ. ავალიანმა იმსჯელეს აბაშის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის ირგვლივ არსებული შენიშვნების შესახებ.

აზრი გამოთქვა: ი. კიზირიამ.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:

საკითხი – აბაშის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის შენიშვნებით აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის დაბრუნების თაობაზე გატანილ იქნეს საკრებულოს მორიგ სხდომაზე და მომხსენებლად დაინიშნოს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე შ. ჯღარკავა.

რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

2

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ.

მომხს. ი. კიზირია

მომხსენებელმა საკრებულოს თავმჯდომარე ი. კიზირიამ წამოაყენა წინადადება აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა მოწვეულ იქნეს 2025 წლის 25 ნოემბერს დილის 10 საათზე, დღის წესრიგით:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 ნოემბრის მორიგი №4 სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ი. კიზირია

2. აბაშის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის შენიშვნებით აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის დაბრუნების თაობაზე.

მომხს. შ. ჯღარკავა

რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე: ი. კიზირია